Environment and Society,No. 6, December, 2022, pp.55-86

დემოკრატიული ლეგიტიმაციის ეროზია: როცა შეხედულება არ შეესაბამება რეალობას

გია ჟორჟოლიანი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი

ელ.ფოსტა: gia.zhorzholiani@tsu.ge

ABSTRACT

Most people believe that democracy gives them political power, and makes them rulers.That is why democracy is acceptable to the people and recognized by them. This view is the basis of the legitimacy of democracy .

The normative ideal of democracy both in the advanced democratic countries ("the West") and in the post-Soviet space that dominated the process of disintegration of the Soviet Union used to nourish this view and was following it. The accompanying liberal ideology, the absolute priority position of individual freedom in the hierarchy of values, further strengthened this basis of legitimation.

How consistent is this dominant view with the real order that has developed in the new post-Soviet states (Georgia)? In reality, we can see that power is exercised only by a small group of citizens. Contrary to the "popular" democratic view of the academic discourse on democracy, the democratic theory focuses on the analysis of real democracies and the study of it's main features and their interrelationships. Real democracy is described as a competition for the selection of rulers (Schumpeter), as polyarchy (Dahl), as a means of the resignation of the electing rulers (Popper), as a counter-democracy (veto power over rulers - Rosanvallon) and others, and not an order, where demos (people) exercise of power.

It is a paradox when real democracy and the view of democracy that legitimizes it do not coincide and contradict each other in many directions. This discrepancy significantly weakens legitimacy over time and under the influence of several factors, and in special cases leads to crisis, eroding the existing real democratic order and showing a tendency to transform political

institutions and the political system. The trajectory of the transformation tendency can be both pro and anti-democratic.

Democracy as the political power of all members of the demos was established in the era of mass parties when a significant portion of the demos was united (or actively supported) in the parties. In Europe, this was mainly due to the emergence of mass (so cold platform) left-wing parties - from the second half of the XIX century to the 70s of the XX century. Then begins the crisis of the parties, which is transformed into a crisis of party democracy.

Legitimacy is strengthened by the importance of the participation factor: if the mechanisms of power-sharing and power distribution (both vertical and horizontal) are strong. This is possible only if the contradictions between political groups (masses that are government-oriented and have ambitions for appropriate responsibility) are not radically polarized. In other words, if the political opposition is focused on changing the policy of the government all the time (not even during the elections) and not the government itself. The government also is becoming radically polarized and unable to implement the mechanisms of sharing and distribution.

The legitimacy is further weakened by the fact that power is exercised not only during elections but also in the period between elections when there is even higher inequality between different groups.

Keywords: Democracy, Legitimacy, Participation, Georgia, Party;

აბსტრაქტი

ადამიანების უმრავლესობის ცნობიერებაში დემოკრატია მათ ანიჭებს პოლიტიკურ ძალაუფლებას, ხდის მათ მმართველებად. სწორედ ამიტომ არის დემოკრატია (დემოკრატიულიი წესრიგი) ადამიანებისთვის მისაღები, მათ მიერ აღიარებული და სწორედ ამგვარი შეხედულება უდევს საფუძვლად დემოკრატიის ლეგიტიმურობას (არსებული დემოკრატიული წესრიგის ლეგიტიმაციას).

დემოკრატიის ის ნორმატიული იდეალი, რომელიც საბჭოთა კავშირის დანგრევის პროცესში დომინირებდა, როგორც მოწინავე განვითარებულ ქვეყნებში („დასავლეთში“),

ასევე პოსტსაბჭოთა სივრცეში, ამგვარ შეხედულებას კვებავდა და შეესაბამებოდა, ერთდროულად. თანმდევი ლიბერალური იდეოლოგია, პიროვნების, ინდივიდის თავისუფლების აბსოლუტურად პრიორიტეტული პოზიცია ღირებულებათა იერარქიაში, კიდევ უფრო განამტკიცებდა ამ საფუძველს ლეგიტიმაციისას: მხოლოდ დემოკრატიული მმართველობის პირობებში აქვს ყველა ცალკეულ პიროვნებას ძალაუფლება და ახორციელებს მას - შედეგად უმრავლესობით მიიღება გადაწყვეტილება, რომელიც მისაღები და აღიარებულია ყველას მიერ, მათ შორის არა უმრავლესობის მიერაც.

დემოკრატიის ლეგიტიმაციის გაძლიერებას ხელს უწყობდა სხვა ფაქტორებიც: ახალი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დამკვიდრება, რომელიც უკავშირდებოდა ამ სახელმწიფოს მოქალაქეთა (დემოსის) სუვერენულ ძალაუფლებას; ავტორიტარიზმის - ერთპარტიული დიქტატის უარყოფა დამატებითი ღირებულებას სძენდა დემოკრატიას.

მმართველობის ყველაზე ლეგიტიმურ ფორმად აღიქმებოდა დემოკრატია[1]. რამდენად შეესაბამება ეს დომინანტური, ხალხის ცნობიერებაში არსებული, შეხედულება რეალურ წესრიგს, რომელიც პოსტსაბჭოთა ახალ სახელმწიფოებში (მათ შორის საქართველოში) ჩამოყალიბდა? რეალობაში ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, რომ ძალაუფლებას ახორციელებს მხოლოდ მცირე ჯგუფი მოქალაქეებისა.

განსხვავებით „სახალხო“ დემოკრატიული შეხედულებისგან, აკადემიური დისკურსი დემოკრატიის შესახებ, დემოკრატიული თეორია ფოკუსირებულია რეალური დემოკრატიების ანალიზზე და რეალობაში არსებული წესრიგის მთავარი მახასიათებლებისა და მათი ურთიერთმიმართების შესწავლაზე. რეალური დემოკრატია უპირატესად ხასიათდება, როგორც კონკურენცია როგორც მმართველობის შერჩევის წესი (Schumpeter, 2008), როგორც პოლიარქია (Dahl, 1971), როგორც მმართველთა გადარჩევის შესაძლებლობა (Popper, 2011). როგორც კონტრდემოკრატია (ვეტოს გამოყენების

[1] შესაბამისი მონაცემები სხვადასხვა ქვეყნის შესახებ იხ., მაგალითად, Achen et al, 2017, გვ.5; ხოლო საქართველოს შესახებ – ყოველწლიურად გამოქვეყნებულ IRI –ის და NDI–ის კვლევებში.

შესაძლებლობა მმართველთა წინააღმდეგ (Rosanvallon, 2008). და სხვა, და სრულიადაც არა, როგორც დემოსის (ხალხის) მიერ ძალაუფლების განხორციელება.

გვაქვს პარადოქსული მოცემულობა, როდესაც რეალური დემოკრატია და შეხედულება დემოკრატიაზე, რომელიც ახდენს მის ლეგიტიმაციას არ ემთხვევა ერთმანეთს, ხოლო რიგი მიმართულებებით ეწინააღმდეგება ერთმანეთს (Achen et al., 2017). ეს წინააღმდეგობა გარკვეული დროის გასვლისას და რიგი ფაქტორების მოქმედებისას მნიშვნელოვნად ასუსტებს ლეგიტიმაციას, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში აღწევს კრიზისამდე, იწვევს არსებული რეალური დემოკრატიული წესრიგების ეროზიას და აჩენს ტენდენციას პოლიტიკური ინსტიტუტებისა და პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმირებისა. ტრანსფორმირების ტენდენციის ტრაექტორია შეიძლება იყოს, როგორც პრო ასევე ანტიდემოკრატიული მიმართულებისა.

პრაქტიკული დემოკრატია ისტორიულად მკვიდრდება წარმოშობილი კონფლიქტების (სოციალური განზომილების კონფლიქტები, რომლებშიც ჩართულია დემოსის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ნაწილი) მიმდინარეობისა და გადაწყვეტის პროცესში (Rustow, 1970).

თავიდან, ეს არ არის ბრძოლა იმისთვის, რომ ყველას (დემოსის ყველა წევრს) ჰქონდეს ძალაუფლება. იბრძვიან კონფლიქტში მონაწილე მხარეები იმისთვის, რომ თავად ჰქონდეთ ძალაუფლება (და არა ყველას).

იგივე პროცესი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ნებისმიერი სხვა კონფლიქტისას - ეთნიკური, რელიგური, კონფესიური, რასობრივი ..., თუმცა განსხვავებები ექნებათ სოციალურ-ეკონომიკური კონფლიქტის შემთხვევასთანაც და ერთმანეთშიც (მაგ. ეტაპები, სხვადასხვა ჯგუფების თანდათანობით ჩართვა...), მაგრამ საბოლოოდ დემოკრატიულად მიჩნეულ უნდა იქნას შემთხვევა, როდესაც შეიქმნება ისეთი ვითარება, რომ მოხდეს შეთანხმება კონფლიქტში მონაწილე ჯგუფებისა იმის თაობაზე, რომ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას იღებს ყველა - დემოსი.

დემოკრატია, როგორც დემოსის ყველა წევრის პოლიტიკური ძალაუფლება მკვიდრდება მასიური პარტიების ეპოქაში, როდესაც პარტიებში მასიურად არის გაერთიანებული (ან აქტიურად უჭერს მხარს) დემოსის მნიშვნელოვანი ნაწილი. ევროპაში ეს უმთავრესად უკავშირდება (მასიური, პლატფორმული) მემარცხენე მიმართულების პარტიების გაჩენას - XIXს.-ის II ნახევრიდან XXს.-ის 70-იან წლებამდე. შემდეგ იწყება პარტიების კრიზისი, რაც ტრანფორმირდება მასიური (პარტიული) დემოკრატიის კრიზისად.

ტრადიციულ (დასავლურ, ევროპულ) დემოკრატიებში დემოკრატიული ინსტიტუტები (ნაციონალურიც და ადგილობრივიც), როგორიცაა მაგალითად არჩევნები, პარლამენტები, ასამბლეები, პარტიები - იწყებენ ფორმირებას და ფუნქციონირებას, აღწევენ კონსოლიდირების მნიშვნელოვან დონეს არა მასიური დემოკრატიის პირობებში. რა თქმა უნდა ისინი განიცდიან თანდათანობით ცვლილებებს პოლიტიკურ პროცესში (გადაწყვეტილებებში) ჩართული დემოსის ნაწილის ზრდასთან ერთად. თავად ეს ცვლილებები, თავისი მხრივ, აჩქარებს დემოკრატიის საყოველთაობას.

ლეგიტიმური მმართველობის განსახორციელებლად აუცილებელია, რომ ხელისუფლებას ლეგიტიმურად მიიჩნევდეს არა მხოლოდ მისი მხარდამჭერი უმრავლესობა, არამედ ყველა,მათ შორის არა უმრავლესობაც.

ლეგიტიმაცია ძლიერდება მონაწილეობის ფაქტორის მნიშვნელობის გათვალისწინებით: თუ ძლიერია ხელისუფლების გაზიარებისა და განაწილების მექანიზმები, როგორც ვერტიკალური ასევე ჰორიზონტალური. ეს კი, თავის მხრივ, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წინააღმდეგობები პოლიტიკურ ჯგუფებს (მათთან დაკავშირებულ სოციალურ სეგმენტებს, რომლებიც ორიენტირებული არიან ხელისუფლებაზე და აქვთ ამბიცია შესაბამისი პასუხისმგებლობისა) შორის არ არის რადიკალურად პოლარიზებული. ყოფით ენაზე რომ ვთქვათ პოლიტიკური ოპოზიცია თუ ორიენტირებულია ხელისუფლების პოლიტიკის შეცვლაზე და არა ყველა დროს (არა არჩევნების მომენტშიც) თავად ხელისუფლების შეცვლაზე. ასეთ ვითარებაში თავად

ხელისუფლებაც რადიკალურად პოლარიზებულია, არ შესწევს გაზიარებისა და განაწილების მექანიზმების განხორციელების უნარი.

ლეგიტიმაცია სჭირდება თავად პროცესს: ხელისუფლების ორგანოები - პარლამენტი,მთავრობა,ოპოზიცია და შესაბამისად არჩევნები უნდა სარგებლობდეს მაღალი ლეგიტიმაციით. ანუ უნდა მიიჩნეოდეს, რომ არჩევნები გამოხატავს ხალხის (მოქალაქეების) ნებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ლეგიტიმაცია საკმაოდ სუსტია და შესაბამისად ეს აისახება პარტიების მიმართ ძალიან დაბალ ნდობაში.

კიდევ უფრო ასუსტებს ლეგიტიმაციას ის ფაქტი, რომ ძალაუფლება ფაქტობრივად ხორციელდება არა მხოლოდ არჩევნებისას,არამედ არჩევნებს შორის პერიოდშიც,როდესაც კიდევ უფრო მაღალია უთანასწორობა სხვადასხვა ჯგუფებს შორის.

საკვანძო სიტყვები: დემოკრატია, ლეგიტიმაცია, მონაწილეობა, საქართველო, პარტია;

ლეგიტიმაციის ეროზიის საფუძვლები

მნიშვნელოვანი ტენდენცია, რომელიც ასუსტებს დემოკრატიულ ლეგიტიმაციას - ეს არის გულგრილობა, უინტერესობა პოლიტიკის შინაარსის მიმართ,რაც სულ უფრო ფართოდ ვრცელდება მოსახლეობის დიდ ნაწილში.

მიზეზები გულგრილობისა ძირითადად შემდეგია:

- კომპეტენციის ნაკლებობა, სისუსტე, გაგების (ინფორმირებულებაზე დაფუძნებული გაგების) სისუსტე (არ არსებობა). რაც არ მესმის, არ მაინტერესებს / საკითხის არ ცოდნა;
- გადაწყვეტილებაზე ზემოქმედების შეუძლებლობა(აზრის გამოთქმის შეზღუდვა, ეკონომიკური რესურსების სიმწირე);
- უნდობლობა, ნდობის შემცირება;
- დაბალი სოციალური კაპიტალი (სუსტი);
- რადიკალური ინდივიდუალიზმი;
- სახელმწიფოს როლის სისუსტე მოქალაქისთვის(ცალკეული ინდივიდისთვის) საინტერესო საკითხების გადაწყვეტაში;
- რადიკალური უთანასწორობა მმართველებსა (ელიტებსა) და მართულებს შორის სოციალ-ეკონომიკური თვალსაზრისით და შედეგად ერთმანეთისგან გაუცხოებულობა,რაც სიმბოლურად გამოიხატება 2008 წლიდან ცნობილ ლოზუნგში: 1% ბატონობს 99%-ზე;
- კონკურენციაში მყოფი ელიტების ჯგუფების მიერ ერთმანეთის რადიკალური დისკრედიტაცია, როგორც პოლიტიკური დისკურსის მთავარი დღის წესრიგი (კლეპტოკრატია, კორუფცია, ამორალიზმი, მოღალატეობა...). კრიტიკა და ნეგაცია ხდება მთავარი მიმართულება, რაც მთლიანად ელიტების მიმართ უნდობლობას ზრდის;

- ❖ ბრძოლა გაბატონებული 1%-ის შიგნით, რომელიც არ ეხება დანარჩენი 99%-ის მდგომარეობას;

სახელმწიფოს როლის რადიკალური შესუსტება ადამიანთა რეალური ცხოვრების ცვლილებაზე, გაუმჯობესებაზე იწვევს ერთი მხრივ, გულგრილობას სახელმწიფოს მიმართ (როგორც ინსტიტუტის), ხოლო მეორე მხრივ გაუცხოებას და შესაბამისად უნდობლობას სახელმწიფოს განმასახიერებლების, არჩეული წარმომადგენლების – მმართველების მიმართ: მოქალაქეთა თვალსაზრისით ისინი ახორციელებენ მმართველობას, რომელიც ხალხის ინტერესებს არ ითვალისწინებს, ცხოვრებაზე არ ზემოქმედებს, არ აუმჯობესებს მას. შესაბამისად მოქალაქეთათვის ისინი (მმართველები) უფუნქციონი არიან.

ამგვარი ვითარება წარმოშობს ორი ტიპის შეხედულებას (განწყობას):

- მისწრაფებას სახელმწიფოს როლისა და ფუნქციის კიდევ უფრო მეტი მინიმიზებისკენ (ლიბერტარიანიზმის ტიპის მიმართულებები – რადიკალური ინდივიდუალიზმი).
- მისწრაფებას სახელმწიფოს ფუნქციებისა და როლის ზრდისკენ, ისეთი ფუნქციების შეძენისკენ, განხორციელებისკენ, რომელიც მოახდენს ზეგავლენას ინდივიდის რეალურ ცხოვრებაზე მისი ცვლილების, გაუმჯობესების მიმართულებით. რადიკალური ფორმით ასეთი შეხედულებები და განწყობები ნოყიერ ნიადაგს ქმნიან ავტორიტარული წესრიგის დამკვიდრებისთვის (პოპულისტური და პლებისციტარული იდეების გაძლიერებისთვის).

სახელმწიფოს (მისი ფუნქციებისა და როლის) და მისი წარმომადგნლებისადმი გულგრილობა და უნდობლობა (კრიტიკული დამოკიდებულება, ნეგაცია) ტრანსლირდება (ან იმავდროულად რეალიზდება) ძალაუფლების პოლიტიკური ინსტიტუტების, სახელმწიფოს მმართველობის ფორმირების წესების მიმართ გულგრილობასა (ინდიფერენტულობა) და უნდობლობაში.

დემოკრატია, როგორც სახელმწიფოს მმართველობის (მმართველების) განსაზღვრის წესი მნიშვნელოვანწილად დელეგიტიმირებული ხდება, რადგან მას (დემოკრატიულ მეთოდს მმართველობის ფორმირებისა) არ ძალუძს მოახდინოს იმგვარი მმართველობის (და შესაბამისად მმართველების) ფორმირება, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდის რეალური ცხოვრებისეული მოთხოვნების შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას – ეს მისი ფუნქცია აღარ არის.

თუ ამ ლოგიკას შემდგომ განვავითარებთ, ისმის კითხვა რა აზრი აქვს არჩევნებს? და რატომ მონაწილეობენ მოქალაქეები არჩევნებში?

ორი მიზეზი შეიძლება მოვიაზროთ:

1. მინიმალურად აუცილებელი უსაფრთხო გარემოს უზრუნველმყოფი (სტაბილური) ორგანიზაციის (სახელმწიფო – უსაფრთხოების „დარაჯი“) ფორმირება.

2. არასასურველი მმართველობის (მმართველების) არ დაშვება ხელისუფლებაში,ან შეცვლა – ნეგაციის საფუძველზე.

რადიკალური ინდივიდუალიზმი (ლიბერტანიალური ან სხვა მსგავსი) ახდენს იგნორირებას ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებების და მათზე დაფუძნებული მისწრაფებების იმ ასპექტისა, რომელიც კოლექტიური მოქმედების აუცილებლობას განაპირობებს. ანტიკური დროიდან ცნობილი ეს კოლექტივისტური ასპექტი (პოლიტიკური ცხოველი, სოციალური ცხოველი, ეკონომიკური ცხოველი) ერთგვარად დამცრობილი ხდება ლიბერალური აზროვნების ტრადიციაში. XIX ს-ის შემდეგ (ჯერ ბენჟამენ კონსტანი, შემდეგ აისაია ბერლინი) ეს პოზიტიური ორი ასპექტი უკავშირდება თავისუფლების ნეგატიურ და პოზიტიურ პრინციპებს, რომელნიც ერთმანეთისგან იმიჯნება და მეორე, ანუ პოზიტიური თავისუფლება, რომელიც კავშირდება კოლექტიური მოქმედების აუცილებლობასთან, მსხვერპლად ეწირება პირველს – ნეგატიურ

თავისუფლებას, რომელიც კავშირდება ადამიანის ინდივიდუალისტურ ბუნებასთან (Allen, 2021).

რეალურ ცხოვრებაში ადამიანის სოცალური ბუნება და კოლექტივისტური ქმედება (პოზიტიური თავისუფლების სივრცე) ისეთივე აუცილებელი შემადგენელია ადამიანური არსებობისთვის, როგორც ინდივიდუალისტური მისწრაფება (ნეგატიური თავისუფლების სივრცე) სწორედ ამიტომ, ადამიანები მიისწრაფვიან შექმნან, დაამკვიდრონ თანაცხოვრების წესრიგი, რომელიც სტაბილურ გარემოს უზრუნველყოფს მათი არსებობისთვის. ასეთი წესრიგი, და განსაკუთრებით მისი სტაბილურობა, აუცილებლობით მოითხოვს რეალიზებისა და ფუნქციონირების მყარ გარანტიებს. ეს კი, თავის მხრივ წარმოშობს აუცილებლობას ძალაუფლების ფენომენის არსებობისა, რომელიც ხდება სოციალური წესრიგის ფუნქციონირებისა და სტაბილურობის გარანტი. შესაბამისად, სახელმწიფო, როგორც ძალაუფლების ორგანიზების ფორმა, სასურველი და ლეგიტიმურია ადამიანებისთვის.

ადამიანის ფუნქციონირება, როგორც სოციალური არსებისა, მოითხოვს აუცილებლობით ერთობლივ (კოლექტიურ) მოქმედებას. ნებისმიერი ერთობლივი (კოლექტიური) მოქმედება (აქტივობა) ორიენტირებული გარკვეულ მიზანზე შეიძლება დავახასიათოთ, როგორც მიზანსწრაფული მოქმედება. კოლექტიური მიზანსწრაფული მოქმედება ბუნებრივად მოითხოვს ორგანიზებულობას, ფუნქციების კოორდინირებას.

კლასიკური ეკონომიკური თეორია ეკონომიკის სფეროში კოლექტიური მიზანსწრაფული მოქმედების ორგანიზებისა და კოორდინირების საფუძვლად განსაზღვრავს ფუნქციების განაწილებას მოქმედებისას – შრომის დანაწილების ფენომენი, როგორც საფუძველი ეფექტური მოქმედებისა მიზნის მისაღწევად, დამოუკიდებლად იმისგან თუ რაზეა ის ფოკუსირებული– წარმოებაზე თუ გაცვლაზე.

სოციალურ სივრცეში კოლექტიური მოქმედებაც, დამოუკიდებლად იმისგან, დაიყვანება იგი ეკონომიკის სრულ პრიორიტეტულობაზე (ბაზისი – ზედნაშენის მიმართება) თუ არა, გულისხმობს სოციალური ფუნქციების კოორდინირებას მიზნის მისაღწევად.

ე. ი. სოციალური ფუნქციების დანაწილება ისეთივე აუცილებლობაა, როგორც ეკონომიკური ფუნქციების – შრომის დანაწილება.

სახელმწიფო წარმოადგენს სწორედ კოლექტიური მიზანსწრაფული მოქმედებისთვის აუცილებელი ორგანიზაციული და კოორდინაციული ფუნქციების განმახორციელებელ ინსტიტუტს.

სოციალური სივრცე ადამიანის ფუნქციონირებისა არ დაიყვანება მხოლოდ და უშუალოდ ეკონომიკურ მიზანსწრაფულობაზე – ბუნებითი მოთხოვნილებები ორიენტირებულია ისეთ მიზნებზეც, როგორიცაა, მაგალითად კვლავწარმოება და უსაფრთხოება („კოლექტიური მოქმედების ლოგიკა“, რომელიც არ დაიყვანება სარგებელზე ორიენტირებულ რაციონალურ არჩევანზე (Olson, 1971).

რამდენადაც ორივე სფეროში (ეკონომიკური, სოციალური) კოლექტიური მოქმედების ლოგიკა მოითხოვს ორგანიზაციას (კოორდინაციას) და ფუნქციების განაწილებას, ძალაუფლების ფენომენის აუცილებლობა სპონტანურად წარმოიშობა, დამოუკიდებლად იმისგან თუ რა პრინციპებს დავეყრდნობით – მარქსისტული ეკონომიკური დეტერმინიზმის, თუ ვებერის უფრო ზოგად მიდგომას სახელმწიფოს, ძალაუფლების ფენომენისადმი.

შესაბამისად, რადიკალური (ექსტრემალური) ინდივიდუალიზმის მიერ სახელმწიფოს როლის იგნორირება (ან რადიკალური მინიმიზება) უგულებელყოფს ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე კოლექტიური მოქმედების აუცილებლობას და არაადექვატურად ასახავს რეალობას (არსებულს, ისტორიულს, მოაზრებადს).

შესაბამისად, ძალაუფლების ფენომენის და სახელმწიფოს როგორც მისი ორგანიზაციის ფორმის (ინსტიტუტის) ლეგიტიმაცია ეყრდნობა ადამიანის ბუნებითი მოთხოვნილებების საფუძველზე განხორციელებული მიზანსწრაფული კოლექტიური მოქმედების ლოგიკას.

ასე რომ საკითხი დგას არა სახელმწიფოს (ძალაუფლების) ლეგიტიმაციის შესახებ, არამედ იმის შესახებ, თუ სახელმწიფოს ორგანიზების რომელი და როგორი ფორმაა ლეგიტიმური მოცემული პოლიტიკური ერთობისთვის.

დელეგიტიმაციას მმართველობის სისტემისა ხელს უწყობს მისი არაეფექტიანობაც, რის შედეგადაც იზრდება უკმაყოფილება ხალხში: არასასურველი, მძიმე სოციალური და განსაკუთრებით ეკონომიკური ვითარება, უწესრიგობა, კორუფცია, კრიმინალი, რადიკალური სისუსტე საგარეო პოლიტიკური კოლიზიებისას და სხვ.

მაგრამ ეს არის სახელმწიფო ხელისუფლების დელეგიტიმაცია, რომელიც წარმოშობს და კვებავს ნებისმიერი ტიპის წინააღმდეგობრივ განწყობას და არა პლებისციტარიზმს ან პოპულიზმს. პლებისციტარიზმი და პოპულიზმი „სახალხო დემოკრატიის“ საყრდენებია. ეს ორი მოვლენა (ფენომენი) მხოლოდ დემოკრატიასთან არის დაკავშირებული, და შედეგია „სახალხო დემოკრატიული ცნობიერებისა“ და რეალური დემოკრატიის ერთმანეთისგან რადიკალურ დაშორებისა. ჩნდება მოთხოვნილება, რომ რეალური დემოკრატიის „უვარგისობა“ დაძლეულ იქნას და წარმოიდგინება, რომ ეს უნდა განხორციელდეს „ხალხის კვლავ დაბრუნებით პოლიტიკაში“ (რომელიც რეალურ დემოკრატიაში სულ უფრო გაუცხოებული ხდება პოლიტიკიდან, მმართველობიდან), რაც შეიძლება მოხდეს პლებისციტების და

პოპულისტური (ხალხის ინტერესების და განწყობის გამომხატველი) გადაწყვეტილებების მეშვეობით[2].

მაქს ვებერის (1958) მიერ განსაზღვრული ლეგიტიმაციის სამი ტიპი ერთდროულად თანაარსებობს თანამედროვე საზოგადოებაში: ტრადიციული, ქარიზმატული, რაციონალური. განვითარებულ დემოკრატიებში ძლიერია ტრადიციული და რაციონალური ლეგიტიმაცია. თუმცა სუსტდება რა რაციონალური ლეგიტიმაცია (იზრდება სუბიექტური უკმაყოფილება, ანუ რეალობით უკმაყოფილების განწყობა), შესაბამისად სუსტდება ტრადიციული ლეგიტიმაციაც (არსებული წესრიგის უალტერნატივობის გაგება) და ჩნდება, წარმოიშობა (გაცნობიერებულად, თუ გაუცნობიერებლად) ახალი მიდგომები, მიმართული არსებული წესრიგის შეცვლისკენ. ეს ახალი ტენდენციები მნიშვნელოვნად ცვლის აქამდე არსებული დემოკრატიული ლეგიტიმაციის საფუძვლებს და მალეგიტიმირებელი რაციონალობის ძირითად პრინციპებს, მაგრამ რჩება კვლავ დემოკრატიის სახურავის (ქუდის) ქვეშ.

საქართველოში (და პოსტსაბჭოთა სივრცეში) ვებერის ლეგიტიმაციის სამი ტიპიდან პრაქტიკულად დემოკრატიის ლეგიტიმაციის მხოლოდ ორი – ქარიზმატული და რაციონალური არსებობდა (ტრადიცია გასაგები მიზეზების გამო არ იყო) და ამ ორიდან წამყვანი იყო ქარიზმატული ლეგიტიმაცია: რწმენა, რომ დემოკრატია, როგორც პოლიტიკური წესრიგი საუკეთესოა. რაციონალური ლეგიტიმაცია დროში მოსდევს ქარიზმატულს და დროთა განმავლობაში ხდება ტრადიციულიც. დღეისათვის ქარიზმატული ლეგიტიმაცია მნიშვნელოვნად სუსტდება, რაც შედეგია რაციონალიზმის შემადგენლის გაძლიერებისა ლეგიტიმაციაში. თავად ვებერი აღნიშნავდა, რომ რაციონალური შემადგენლის გაძლიერება, კერძოდ რეალობის გააზრება, გაცნობიერება და უკმაყოფილების ზრდა, ზრდის ეჭვებს და ასუსტებს ქარიზმატულ შემადგენელს.

[2] პლებისციტარული დემოკრატიისა და პოპულიზმის განსაზღვრებებისა და მათი ურთიერთმიმართების შესახებ იხ. Юдин, 2021.

შედარებით გაძლიერებული ტრადიციული ლეგიტიმაცია იკავებს წამყვან ადგილს არსებული წესრიგის დელეგიტიმაციაში,რასაც ხელს უწყობს ალტერნატივის დანახვის შეუძლებლობა.

სახელმწიფო - ლეგიტიმაცია – დემოკრატია პოსტსაბჭოთა საქართველოში

თანამედროვე დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს შექმნა უკავშირდება საბჭოთა კავშირის დაშლას.

ადამიანებს, რომლებიც ცხოვრობდნენ 1992 წელს არ ჰქონდათ სახელმწიფოებრიობის განცდა საკუთარ მეხსიერებაში, არ ჰქონდათ დამოუკიდებელ სახელმწიფოში ცხოვრების გამოცდილება — სახელმწიფოს მოქალაქის გამოცდილება. ანუ მოქალაქეობრივი (თანამედროვე — მოდერნული) ცნობიერება, მოქალაქეობა მეხსიერებაში არ ჰქონდათ.

მეხსიერებაში იგულისხმება არა ის რაც ვიცით წარსულის შესახებ სხვისი გადმოცემით (ტექსტები, მონათხრობი...), არამედ ის რაც ჩვენ თავად განგვიცდია. ამ თვალსაზრისით ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ მეხსიერება (ან ხსოვნა) რაც ჩვენ უშუალოდ შეგვეხო და ისტორია (რაც გადმოცემით ვიცით).

ეს ორი ფენომენი (მეხსიერება და ისტორია) ზუსტად და მკაცრად ვერ იქნება ერთმანეთისგან გამიჯნული ვერც ცალკეული ინდივიდის აღქმაში, გონებაში და ვერც საზოგადოებრივ ცნობიერებაში გარკვეულ შემოსაზღვრულ დროის მონაკვეთში, ნებისმიერ პერიოდში. მაგ. ბოლო 30 წლის საქართველოში 1992 –დან 2022 წლამდე ერთდროულად ცხოვრობდნენ ადამიანები, თაობები, რომელთაც სხვადასხვანაირი მეხსიერება და ისტორია (ისტორიის ცოდნა) გააჩნდათ (ცნობიერებაში, აღქმაში). ერთი ნაწილისთვის დამოუკიდებლობამდელი ცხოვრება სსრკ-ში იყო მეხსიერება და შემდგომ პერიოდთან ერთად ერთიან მეხსიერებას წარმოადგენს იმ ადამიანებისთვის ვინც უკვე

გაცნობიერებულ ასაკში მოესწრო სსრკ-ს. ყოველი თაობის, ყოველი ათწლეულის ადამიანები განსხვავებულ მეხსიერებებს ფლობენ.

1992 წლისთვის პრაქტიკულად არ არსებობდნენ ადამიანები, ვისაც ჰქონდა დამოუკიდებელ სახელმწიფოში ცხოვრების (მოქალაქეობის – დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს მოქალაქეების) მეხსიერება. მაგრამ არსებობდა ისტორიული ცნობიერება სახელმწიფოს თაობაზე (დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს). თუმცა, ეს იყო არა თანამედროვე, არამედ ძველი, არამოდერნული სახელმწიფო.

თანამედროვე საქართველოში ლეგიტიმურად მიიჩნევა მმართველობა პოლიტიკური ჯგუფისა(პარტია, ორგანიზაცია), რომელსაც აქვს არჩევნებში მონაწილეთა უმრავლესობის მხარდაჭერა. მაგალითად, ასეთი დღეს არის არსებული ხელისუფლება, რომელმაც მიიღო უმრავლესობის მხარდაჭერა, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად უზრუნველყოფს არსებული საარჩევნო სისტემა, საარჩევნო გარემო და პროცესი (არა მხოლოდ არჩევნების დღეს, ე.წ. „გაყალბება“, არამედ უფრო ხანგრძლივ პერიოდში – არჩევნებიდან არჩევნებამდე, ან უფრო გრძელვადიანადაც კი) რეალურად დემოკრატიის რეალიზებას (ხალხის ნების გამოხატვას, ხალხის მმართველობას). იმისათვის, რომ უფრო დაუახლოვდეს არსებული ვითარება რეალურ დემოკრატიას, აუცილებელია ფუნდამენტური ცვლილებები როგორც საზოგადოებრივ ცნობიერებაში, ასევე ცხოვრების ყველა სფეროს (მმართველობა, ეკონომიკა, სოციალური მდგომარეობა, კომუნიკაცია – მედია,...) ინსტიტუციონალურ მოწყობაში. ასეთი ცვლილებების მყისიერი განხორციელება შეუძლებელია იმ შემთხვევაშიც კი, ამის თაობაზე საზოგადოებაში დღეს სრული კონსენსუსი რომ არსებობდეს, რაც თავისთავადაც შეუძლებელია და ილუზიაა. ლეგიტიმაცია ჭირდება თავად პროცესს – ანუ ხელისუფლების ორგანო – პარლამენტი და შესაბამისად პროცესი, რომელიც მას აყალიბებს, არჩევნები უნდა სარგებლობდეს მაღალი ლეგიტიმაციით. ანუ უნდა მიიჩნეოდეს, რომ არჩევნები გამოხატავს ხალხის (მოქალაქის) ნებას. ეს

ლეგიტიმაცია, საკმაოდ სუსტია. პირველ რიგში იმიტომ, რომ შეზღუდულია ასარჩევთა სივრცე, მთელი რიგი ფაქტორებით – მედია, ფინანსები, მანიპულაციის ბერკეტები და სხვ. (ჟორჟოლიანი, 2021). საბოლოო ჯამში ეს აისახება პარტიების მიმართ ძალიან დაბალ ნდობაში[3]. ამის მიუხედავად, მაინც, არსებით მექანიზმად რჩება არჩევნები, რადგან ალტერნატივა (სხვა მექანიზმი ლეგიტიმაციისა) არ წარმოიდგინება, ხოლო მხარდაჭერა უპირატესად განპირობებულია ნეგაციით (ხმას აძლევს მოქალაქე არასასურველი სუბიექტის წინააღმდეგ). შესაბამისად ლეგიტიმაცია არსებობს, მაგრამ სუსტია, მთლიანად პარლამენტის მიმართ, როგორც უმრავლესობის, ასევე ოპოზიციის მიმართ.

ხელისუფლების ლეგიტიმაცია სუსტდება, თუ სახელისუფლებო პოზიციაზე არიან არა არჩევნებით განსაზღვრული (არჩევნებით ლეგიტიმირებული) სუბიექტები (პირები, ჯგუფები).

ხელისუფლების ლეგიტიმაცია სუსტდება, თუ იგი ვერ ახორციელებს ეფექტურ და მოქალაქეთა უმრავლესობისთვის მისაღებ პოლიტიკას (ლეგიტიმაციის შენარჩუნება ხდება მხოლოდ უარესი ალტერნატივის დადგომის ხიფათის წარმოჩენით).

გარე ლეგიტიმაცია სუსტდება მნიშვნელოვანი გარეფაქტორების მხარდაჭერის (საერთაშორისო აღიარების) შესუსტებასთან ერთად.

- ეფექტური და შედეგიანი მმართველობისთვის აუცილებელია ლეგიტიმაციის გაზრდა:
- ნულოვან–ჯამოვანი წესების შეცვლა;
- ეფექტური მმართველობის განხორციელება/აღსრულება, კომპეტენტური მმართველობა;
- მონაწილეობის ფაქტორის გაზრდა;
- საერთაშორისო ლეგიტიმაციის გაზრდა.

[3] იხ. IRI –ის და NDI –ის ყოველწლიური გამოკითხვები

პარტიების კრიზისი და „მედიაკრატია“

მხოლოდ არჩევნების მეშვეობით ხალხის (დემოსის) ნების შესაბამისად მართვა ილუზიაა. არჩეულების ძალაუფლება შეუდარებლად უფრო მეტია (დიდია) ვიდრე ამრჩევებისა მმართველობის განხორციელებისას: ამრჩევებს გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლება აღარ აქვთ, არჩეულებს —აქვთ. ე. ი. დემოკრატია თუნდაც რეალიზდებოდეს არჩევნებისას, ეს არის ძალაუფლება (კრატია) მხოლოდ მმართველების არჩევისა, ანუ ეს არის არა ხალხის მმართველობა (ძალაუფლება), არამედ მხოლოდ მმართველების არჩევის ძალაუფლება, რომელიც პირველი არჩევნების შემდეგ, მომავალ არჩევნებში უკვე არათანაბრ ძალაუფლებას აძლევს მოქალაქეებს. მმართველობა (ძალაუფლება) ხორციელდება არა მხოლოდ არჩევნებისას (არჩევნების დროს) არამედ არჩევნებს შორის პერიოდში. მთავარი და ფუძემდებლური, უშუალოდ ადამიანის ცხოვრებაზე ზემოქმედების (ზეგავლენის) მქონე გადაწყვეტილებები (მმართველობა, ძალაუფლება) მიიღება და ხორციელდება სწორედ არჩევნებს შორის პერიოდში, რაშიც დემოსის წევრები არ მონაწილეობენ.

ე.წ. „პარტიული დემოკრატიების“ პირობებში მასობრივი პარტიები წარმოადგენენ ძირითად ინსტრუმენტებს დემოსის წევრების ძალაუფლებისა (არა უკიდურესად ძლიერს, შეიძლება, მაგრამ მნიშვნელოვანს), როგორც არჩევნებისას,ასევე არჩევნებს შორის პერიოდში. თუ ეს ინსტრუმენტი არ არსებობს (რეალურად არ არსებობს, არა ეფექტურია,არ მუშაობს, გადაიქცა სხვა რაღაცად, დაკარგა თავისი არსი) მაშინ დემოსის წევრები სრულიად მოკლებულნი არიან ძალაუფლებას არჩევნებს შორის პერიოდში და დიდწილად არჩევნებისასაც[4].

[4] პარტიების კრიზისისა და ამომრჩევლებსა და არჩეულებს შორის „უფსკრულის“ ზრდის შესახებ იხ. Mair, 2013, pp.1-17, Dalton, 2017, pp. 3-24, Offe, 2011.

პარტიების (პარტიული დემოკრატიების) აყვავებას ადგილი ჰქონდა 60-იანი და 70-იანი წლების ევროპაში. ეს დაკავშირებული იყო ეკონომიკურ კეთილდღეობასთან და ძლიერი და მრავალრიცხოვანი საშუალო კლასის ფორმირებასთან შედარებით დაბალ უთანასწორობის დონესთან[5]. დღეისათვის პარტიებმა დაკარგეს შესაბამისი ადგილი და ფუნქციები;

ეკონომიკის სფეროში ლიბერალიზმის დომინირებამ (თითქმის სრულად გაბატონებამ) და ადრე იდეოლოგიურად განსხვავებული პარტიების სოციალ–ეკონომიკური მიზნების დაახლოებამ წაშალა განსხვავებები პარტიათა პროგრამებს შორის და ხელი შეუწყო მყარი ელექტორატის რადიკალურად შემცირებას (დასუსტებას), რომელიც იზიარებდა პარტიის იდეებს და აქტიურად მონაწილეობდა დაფინანსებასა და აგიტაციაში.

სერიოზული და მყარი პარტიული მხარდაჭერის არ არსებობის პირობებში პოლიტიკური (პარტიული) ლიდერები (ხელმძღვანელობა) ეძებენ მხარდაჭერისა და დაფინანსების ახალ ინსტრუმენტებს. ამ ვითარებაში ამომრჩეველზე ზეგავლენის მოხდენის მთავარი ინსტრუმენტი ხდება მედია: ამომრჩეველთა დიდი ნაწილი არჩევანს აკეთებს არა პროგრამული მიზნების მიხედვით, არამედ მედიის მიერ მიმზიდველად წარმოდგენილი ლიდერების და ჯგუფების სასარგებლოდ.

პარტიების (პარტიული დემოკრატების) კრიზისის ძირითადი ტენდენციები შემდეგში მდგომარეობს:

- საზოგადოების სატრუქტურის ცვლილება: ფრაგმენტირებული საზოგადოება, ნაცვლად უფრო კლასობრივი სოციალური სტრუქტურისა პარტიებსა და პოლიტიკურ ლიდერებს უბიძგებს საერთო (საყოველთაო, ზოგადი) ინტერესების დამაკმაყოფილებელი პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისაკენ (ე. წ.

[5] უთანასწორობის ზრდის შესახებ XX საუკუნის 80–იანი წლების შემდეგ იხ. Piketty, 2020, part three: The Great Transformation of the Twenteeth Century.

Catch all parties[6]) , რომელმაც ფრაგმენტირებული სოციალური ჯგუფებისა და არა კონკრეტული, ტრადიციული პარტიული ამომრჩევლების მხარდაჭერა უნდა უზრუნველყოს;

- კოლექტიური პარტიული იდენტობის ძლიერმა შესუსტებამ პარტიის არსის საფუძველი შეარყია;
- სახელმწიფო სუვერენიტეტის შეზღუდვამ და ზენაციონალური სტრუქტურების გავლენის ზრდამ (განსაკუთრებით 1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან) შიდაპოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე პარტიების და პოლიტიკური მიზანსწარფული მოქმედების მნიშვნელობა კრიტიკულად შეამცირა;
- პარტიები პრაქტიკულად აღარ არის ადგილი, სადაც მზადდებიან ლიდერები, ისინი მოდიან არაპარტიული სივრციდან;
- მოქალაქეები იქცნენ მონაწილეებიდან მაყურებლებად.

პარტიული (მასიური) დემოკრატების დასუსტება, ტრადიციული პარტიული პოლიტიკისა და პარტიების როლის მინიმიზება იწვევს ძალიან მნიშვნელოვან ცვლილებებს, როგორც მიკრო ისე მაკრო დონის პოლიტიკაში, როგორც ამომრჩევლების, ასევე მთავრობების მოქმედების, ქცევის ფორმებში, განწყობებსა და მოტივაციებში:

- მოქალაქეები და პროფესიული პოლიტიკოსები სულ უფრო შორდებიან ერთმანეთს, ხდება მათი ურთიერთგაუცხოება;
- მოქალაქეების დიდ ნაწილში იზრდება უარყოფითი, ზეკრიტიკული (ხშირად მტრული) დამოკიდებულება ეროვნული დონის პოლიტიკური ელიტის მიმართ;
- გადაწყვეტილებების მიღება და საჯარო პოლიტიკა ლეგიტიმაციის წყაროდ ხშირად იყენებს არაპოლიტიკურ საშუალებებს (სასამართლო, მედია, „საერთაშორისო თანამეგობრობა“, ევროკავშირი და სხვ.);

[6] „ყველას (ყველაფრის) მომცველი პარტიები“.

სერიოზული ზიანი მიაყენა პარტიულ დემოკრატიებს (მასობრივ) და პარტიებს 80-იანი წლების ბოლოდან გაძლიერებულმა ეკონომიკური გლობალიზაციის ნეოლიბერალურმა ვერსიამ, რომელმაც შეარყია სახელმწიფოს სუვერენიტეტი და შიდა ავტონომიის საფუძვლები. რადიკალურმა ლიბერალიზაციამ, პრივატიზაციამ და დერეგულირებამ არა მხოლოდ მნიშვნელოვნად შეზღუდა მთავრობების შესაძლებლობები ავტონომიური პოლიტიკის განხორციელებისა, არამედ მოტივაციაც შეუსუსტა მთავრობებს აქტიურად წარემართათ განვითარების ეკონომიკური პოლიტიკები.

ევროპული დემოკრატიებისათვის დამახასიათებელი მემარჯვენე–მემარცხენე დაპირისპირება თანდათან გზას უთმობს კონვერგენციის ტენდენიებს („მესამე გზა“). გლობალიზაციის გამოწვევების საპასუხოდ სულ უფრო ხშირად სახელმწიფოს შიგნით დაპირისპირებული პარტიები მიისწრაფიან კონსენსუსიკენ, რაც ასუსტებს მათ კავშირს ტრადიციულ წევრებთან და მხარდამჭერებთან. სახელმწიფო პოლიტიკა პრაქტიკულად არ განისაზღვრება პარტიის მიერ და არ ექვემდებარება პარტიის კონტროლს. შესაბამისად, მოქალაქეთა დიდ ნაწილს უჩნდება უნდობლობა პარტიებისა და პარტიული პოლიტიკური მონაწილეობის მიმართ, ძალზე სუსტდება პარტიული იდენტობები,.

ყველა ზემოჩამოთვლილი ტენდენცია კიდევ უფრო რადიკალური ფორმით განსხვავებულ თავისებურებებთან ერთად გამოვლინდა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და კერძოდ საქართველოშიც.

პარტიული დემოკრატიების დრო წავიდა. პარტიები კარგავენ კავშირს საზოგადოებასთან და მონაწილეობენ უშინაარსო კონკურენციაში. დემოკრატიის ტრადიციული გაგება ადგილს უთმობს ახალ ტენდენციას, რომელიც შეიძლება დახასიათდეს, როგორც დემოკრატია დემოსის გარეშე.

ხალხის მიერ გადაწყვეტილების (ხმის მიცემის) მიღების ნაცვლად აქცენტი კეთდება ინსტიტუციონალურ პლურალიმზე. ტრადიციულად წამყვანი შინაარსის ან პოზიციების პლურალიზმი იცვლება დაჯგუფებების, „გუნდების“ და პიროვნებების პლურალიზმით.

ამავე დროს, სულ უფრო აშკარა ხდება არარჩეული წარმომადგენელების ძალაუფლების ზრდა (იდეოლოგიური ძალაუფლება, საზოგადოებრივ აზრზე გავლენა) და სამმართველო სივრცის ფართო არეალში მკვიდრდება პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების ექსპერტული წესი.

90-იანი წლებიდან დემოკრატიის მასიური (სახალხო) შემადგენელი სუსტდება და კონსტიტუციური (ლიბერალური) იზრდება (ძლიერდება ლიბერალური დისკურსი — ანუ დემოკრატია აღიწერება და წარმოიდგინება ლიბერალურ დისკურსში): მთავარ ადგილს იკავებს სასამართლო და სამოქალაქო საზოგადოება (მედია და არასამთავრობო ორგანიზაციები) — ლეგალური პროცედურები. „პარტიული პოლიტიკა“ ასოცირდება კერძო, ჯგუფურ, გუნდურ, კლანურ ინტერესებთან.

პარტიების (მასიური) გარეშე დემოკრატიაში იკარგება მასიური მონაწილეობა და რეალური სახალხო კონტროლი.

მმართველობის ეფექტურობა (good governance), თითქოსდა ხდება დემოკრატიის მთავარი მახასიათებელი. საზოგადოების, ხალხის მიერ მმართველობის ეფექტურობის შეფასება — პარტიული (მასიური) მექანიზმების გარეშე რეალურად არ ხორციელდება და შესაბამისად საზოგადოებაში არსებული განწყობები ვერ იქცევა გადაწყვეტილებების (მაგ არჩევნებში) მიღების საფუძვლად.

პარტიების როლის ცვლილებები დემოკრატიებში თანამედროვე ეპოქაში დაკავშირებულია მრავალ ურთიერთდაკავშირებული ფაქტორის ცვლილებასთან — კომუნიკაციის წესების ცვლილება, სოციალური სტრუქტურის ცვლილება, ტექნოლოგიური ცვლილებები, ეკონომიკური სტრუქტურის ცვლილება (შესაბამისად შრომის ტიპებისა და შრომითი ურთიერთობების ცვლილებები) და სხვ.

თუ გვინდა მონაწილეობის ფაქტორის ზრდა დემოკრატიის მასიური შემადგენლის გაძლიერება, ცალკეული ინდივიდებისა და ჯგუფების ძალაუფლების (პოლიტიკურის, იდეოლოგიურთან ერთად) ზრდა (შესაძლებლად მაქსიმიზება) — უნდა მოიძებნოს

შესაბამისი ტიპის ძალაუფლების გამზრდელი მექანიზმები, როგორც პასუხები ხსენებული ფაქტორების ცვლილებების საპასუხოდ.

თუ გვინდა დემოკრატია, როგორც არჩევნებისას, ასევე არჩევნებს შორის პერიოდში განსაკუთრებით გვჭირდება ახალი ინსტრუმენტები — არა ტრადიციული პარტიების მსგავსი (მით უმეტეს ისეთი, როგორიც დღეს არის), არამედ ძალაუფლების განხორციელების სხვა საშუალებები და არხები.ტრადიციული პარტიული სტრუქტურების (მასიური პარტიების) აღდგენის, ანუ ძველ პარტიულ ინსტიტუტებთან დაბრუნების შესაძლებლობა გამორიცხულია ზემოხსენებული ცვლილებების გამო. ამდენად შესამუშავებელია:

- კომუნიკაცის ახალი ფორმა;
- ორგანიზაციის ახალი ფორმა;
- პოლიტიკური გადაწყვეტილებების ახალი ფორმა;
- დელიბერაციის ახალი ფორმა.განსასაზღვრია დელიბერაციის ადგილები,როგორც გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილე ორგანოები;
- სტრუქტურული ერთეულების ახალი ფორმა —ტრადიციული საზოგადოებრივი სტრუქტურის არარსებობის პირობებში

მეორე დიდი პრობლემა დემოკრატიული ლეგიტიმაციისთვის არის ე.წ. „მედიაკრატია“. თანამედროვე კომუნიკაციური ბუმის პირობებში წარმომადგენლობითი დემოკრატიის ინსტიტუტები ხდებიან ადვილი სამიზნეები თავდასხმისთვის, რასაც ძალზე ეფექტურად ახორციელებს ე.წ. „მხილების, გამომძიებელი ჟურნალისტიკა“.

თანამედროვე ინფორმაციული მრავალფეროვნების, კომპლექსურობის და გავრცელებისა და კომუნიკაციის ქსელების ფუნქციონირების საყოველთაობის პირობებში ანტიკორუფციული თემატიკა წამყვან ადგილს იკავებს, როგორც პოლიტიკური ჯგუფების, ასევე მედიისა და საზოგადოებრივი ჯგუფების რიტორიკაში. მორალური და ეთიკური პოზიციებიდან კრიტიკა, როგორც ხელისუფლების (და მისი ცალკეული წარმომადგენლების), ასევე პოლიტიკური ოპონენტების — ახდენს მთლიანად

პოლიტიკური ელიტის დისკრედიტირებას და ტოვებს არჩევანს არა უკეთესისა, არამედ – უარესის წინააღმდეგ.

ამავე დროს, ამგვარი დისკურსი პოლიტიკისა პრაქტიკულად განაგდებს მსჯელობიდან პოლიტიკის შინაარსს — პოლისებს, რამდენადაც თითქმის საყოველთაოდ აღიარებული ცინიზმი პოლიტიკური კლასისა მოქალაქეთა უმრავლესობის უნდობლობას უწყობს ხელს და პოლიტიკური კლასის მსჯელობა პოლიტიკის შინაარსზე სიყალბედ აღიქმება.

ეს ვითარება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოქალაქეთა უმრავლესობის გაუცხოებას პოლიტიკისაგან (სხვა მიზეზებთან ერთად), და ერთი მხრივ ადაპტაციური, მოკლევადიანი, შემგუებლური,ხშირად არაფორმალური ან არალეგალური ქცევისა და მოქმედების ფორმების წარმოქმნასა და განმტკიცებას, ხოლო მეორე მხრივ ანტისისტემური, რადიკალური წინააღმდეგობრივი მოძრაობების გაჩენას.

პირველ შემთხვევაში — ძლიერდება სტაგნაცია და სტატუს-ქვო, მეორე შემთხვევაში — ხდება ხელისუფლების შეცვლა რადიკალური მეთოდებით, რასაც არ მოსდევს სისტემური შინაარსობრივი (პოლისების) ცვლილებები.

მედიის როლის რადიკალური ზრდის პირობებში არჩევნები, პოლიტიკური პარტიები და საკანონმდებლო ორგანოები (პარლამენტები) არ ქრებიან და არ კარგავენ სრულად მნიშვნელობას, მაგრამ ისინი უეჭველად კარგავენ თავის საკვანძო ადგილს (მნიშვნელობას) პოლიტიკაში. პარტიები და პარლამენტები ემსგავსებიან მედიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს (არაარჩეულ გავლენის მქონე პირებს) და ხდება მათ შორის სიმბიოზი, სადაც ამ უკანასკნელთა მოქმედების ლოგიკა (მონიტორინგი, საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედება) ანაცვლებს პირდაპირი პოლიტიკური გადაწყვეტილებების ლოგიკას. პარტიები, პარლამენტები, მედია და არასამთავრობო ორგანიზაციები მოქმედებენ ტოტალური მონიტორინგის წესით, რაც ლოგიკურია, რამდენადაც ხდება ძალაუფლების მქონეთა მონიტორინგი (კრიტიკა – დისკრედიტაცია,

ლეგიტიმაციის დასუსტება), ხოლო ძალაუფლება ყველა ზემოთ ჩამოთვლილებს გააჩნიათ.

მონიტორული დემოკრატიისა და კონტრდემოკრატიის პირობებში ძალაუფლების კონცენტრირების ტრადიციული ცენტრები ფუნდამენტურად იცვლება. შესაბამისად იცვლება ხმის მიცემის მეშვეობით ძალაუფლების მქონეთა არჩევის უპირატესი (უმთავრესი) პრინციპიც: არჩევნები კარგავს მნიშვნელობას (ძალიან დიდს ტრადიციულად), ძალაუფლების მნიშვნელოვანი წილი მოიპოვება არჩევნების გარეშე (იდეოლოგიური, ეკონომიკური ძალაუფლებები).

ჯონ კინს შემოაქვს ტერმინი „მედიის დეკადანსი". ეს ტერმინი ასახავს იმ უარღესად მნიშვნელოვან განსხვავებას, რომელიც არსებობს ერთის მხრივ თავისუფალი და პატიოსანი საჯარო განსჯისა და ხელისუფლების კრიტიკის იდეალებს, შეხედულებათა პლურალიზმის შეუზღუდაობას, მედიის წარმომადგენლების მისწრაფებას ჩართოს მოქალაქენი თანასწორად სოციალურ ცხოვრებაში და მეორეს მხრივ უხეშ რეალობას შორის, რომელშიც კომუნიკაციის საშუალებები მჭიდროდ არიან დაკავშირებული არაკეთილსინდისიერ საქმიანობასთან, შეხედულებათა შეუწყნარებლობასთან, ჭეშმარიტი საზოგადოებრივი კონტროლის დათრგუნვასთან, საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციასთან და შესაბამისად არსებული წესრიგის მიმართ ბრმა მორჩილების განწყობების შექმნასთან (Keane, 2013).

მონიტორული დემოკრატია ხშირად ხდება ტრადიციული დემოკრატიის დისკრედიტაციისა და მისდამი გულგრილობის (მეტიც ნეგატიური განწყობის) შემქმნელი ინსტრუმენტი (ფენომენი) და პოლიტიკოსების დეპოლიტიზაციის საშუალება ისევე, როგორც ამომრჩევლებისა (Keane, 2013).

დაბრუნება ძველი დემოკრატიული წესების (კომუნიკაციის) პირობებში შეუძლებელია. ახალი ტექნოლოგიები ვერ შეჩერდება. ახალი კომუნიკაციური სინამდვილის პირობებში ძველი დემოკრატიული ინსტიტუტები (მმართველობითი

ინსტიტუტები) ჩვეულად აღარ ფუნქციონირებენ, იცვლიან არსს და ფუნქციებს, ერთგვარ ანაქრონიზმად გვევლინებიან.

ინფორმაციული ბუმის პირობებში ბევრად მეტი ადამიანი ერთვება მსჯელობასა და დისკუსიებში, ვიდრე წარმომადგენლობითი დემოკრატიის პირობებში — პირისპირ შეხვედრების როლი მცირდება, იზრდება ჯერ გაზეთების — XIX ს-ის ბოლოდან, შემდეგ რადიო–ტელევიზიის XXს-ის 20–30-იანი წლებიდან, და ბოლოს ინტერნეტის, ტელეკომუნიკაციების, სოციალური ქსელების როლი XX ს-ის ბოლოდან. ჩნდებიან ე. წ. არაარჩეული წარმომადგენლები (პარლამენტარების პარალელურად), რომელთაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ საზოგადოებრივ აზრზე (ზოგჯერ არჩეულ წარმომადგენლებზე მეტი) —იდეოლოგიური ძალაუფლება სულ უფრო მეტი ადამიანის ხელში აღმოჩნდება.

შესაბამისად მათი გავლენები ცხოვრების წესზე იზრდება იდეოლოგიური ძალაუფლების არხების (ინფორმაციული ტექნოლოგიები) მეშვეობით.

ინფორმაციული ბუმის, მრავალვარიანტულობის, ნებისმიერობის, სინამდვილის სირთულის (რეალური მდგომარეობის კომპლექსურობის, მრავალფაქტორული ურთიერთმიმართების), რეალობის ადექვატური აღქმა მოქალაქეთა დიდი ნაწილისთვის უკიდურესად რთულდება. მარტივად რომ ითქვას, ძალიან რთულდება ტყუილისა და მართლის გარჩევა. შესაბამისად, ცალკეულ მოქალაქეს უჭირს სიღრმისეულად და ადექვატურად გაიაზროს საკუთარი ინტერესები (მიზნები), მოახდინოს მათი აგრეგირება და მწყობრი შეხედულებების ჩამოყალიბება — შესაბამისად მოქალაქე შესაძლოა გახდეს ადვილად მანიპულირებადი.

მაგრამ, პოლიტიკური ძალაუფლება (გადაწყვეტილებების მიღება) არ დაიყვანება იდეოლოგიურ ძალაუფლებაზე (საზოგადოებრივი აზრის ფორმირება). მოქალაქეთა უმრავლესობისთვის შედარებით ადვილად გასაგები საკითხების უდიდესი ნაწილი არ უკავშირდება არსებულ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ წესრიგებს

სიღრმისეულად. მარტივი სინამდვილის შემთხვევაში (ინდუსტრიულ ეპოქაში) პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ფუნდამენტური წესრიგის საკითხები მთავარი იყო საზოგადოებრივი დისკურსის დღის წესრიგში (მაგ.: კლასობრივი საკითხები, გადასახადები, სოციალური დახმარება, მუშათა უფლებები, პროფკავშირები, საკუთრების საკითხები. საარჩევნო უფლებები — ყველასთვის — ცენზების გარეშე, ქალებისთვის და ა.შ.).

ფუნდამენტურ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება რჩება უშუალოდ პოლიტიკური ჯგუფების (გადაწყვეტილების მიმღები) ხელში — პარლამენტი, მთავრობა. შეიძლება ითქვას, რომ პირიქით უშუალოდ პოლიტიკური ძალაუფლების მქონეთა წრე კიდევ უფრო ვიწროვდება, ვიდრე ადრე ე. წ. პარტიული დემოკრატიებისას (წარმომადგენლობითი დემოკრატიებსას).

დასკვნა

თანამედროვე საზოგადოებებში შეიძლება აშკარად დავინახოთ ორი თანადროულად არსებული ტენდენცია, რომელთა თანაარსებობა ერთგვარ პარადოქსულ ვითარებას ქმნის: 1. პირველი – ეს არის მისწრაფება დემოკრატიისკენ, ინდივიდების და ჯგუფების ძალაუფლების ზრდისკენ (ხშირ შემთხვევაში არატრადიციული ზეგავლენის ინსტრუმენტების მეშვეობით); და 2. მეორე – ეს არის საზოგადოდ პოლიტიკის მიმართ ინტერესის დაქვეითება, ინდიფერენტიზმი და ხშირად თითქმის სრული უგულებელყოფა პოლიტიკისა.

როგორ შეიძლება აიხსნას ეს, ერთი შეხედვით პარადოქსული ვითარება?

თანმედროვე დემოკრატიებში დემოკრატიის მასობრივი (მონაწილეობრივი) შემადგენელი პოლიტიკური ძალაუფლების სფეროში (პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე პირდაპირი ზემოქმედება მასობრივი პარტიებისა და არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით) სუსტდება და პრიორიტეტულ ადგილს იკავებს კონსტიტუციური და

ლიბერალური შემადგენელი (ნეგატიური თავისუფლების ფორმით). ამ მიმართულების აქტიური წარმომადგენელი ფარიდ ზაქარია, სწორედ კონსტიტუციონალიზმს მიიჩნევს დასავლური დემოკრატიების მთავარ მახასიათებლად: „დროის მნიშვნელოვანი მონაკვეთის განმავლობაში ახალი და უახლესი ისტორიის ეპოქაში ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის მმართველობის განმასხვავებელი ნიშანი იყო არა დემოკრატია, არამედ კონსტიტუციური ლიბერალიზმი. „დასავლური მოდელის“ საუკეთესო გამოხატულებას წარმოადგენს არა მასობრივი პლებისციტი, არამედ მიუკერძოებელი სასამართლო“ (Zakaria, 1997).

ფარიდ ზაქარიას ეს შეხედულება, რომელიც უფრო პოსტკომუნისტურ ეპოქაში დამკვიდრებულ დომინანტურ პოლიტიკურ დისკურსს შეესაბამება (განსაკუთრებით ამერიკულს), ვიდრე აკადემიურ სივრცეში არსებულ მნიშვნელოვან თეორიულ გააზრებას დემოკრატიის პროცესისა, დიდწილად წარმოადგენს მცდელობას ისტორიული ფაქტებისა და დინამიკის დანახვისა თანამედროვე რეალობისა და ტენდენციების მეშვეობით.

დღევანდელი დემოკრატიის გამოწვევებზე ხშირად ეძებენ (როგორც აკადემიურ, ასევე პოლიტიკურ დისკურსში) პასუხებს ისეთ ინსტიტუციონალურ ცვლილებებში, რომლებიც ორიენტირებულია მეტ კონსტიტუციონალიზმზე და ლიბერალიზმზე, არა უშუალოდ პოლიტიკური ქმედებების (გადაწყვეტილებების მიღება) მეტ დემოკრატიზაციაზე,არამედ არაარჩეული რეპრეზენტატორების, მედიისა და ექსპერტების როლისა და გავლენის ზრდაზე საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების მეშვეობით. შესაბამისად, წმინდა პოლიტიკური შემადგენელი დემოკრატიაში სუსტდება და ძლიერდება იდეოლოგიური და ეკონომიკური შემადგენელი.

ზემოხსენებული ფაქტორების გათვალისწინებით დემოკრატიაში „ხალხის მმართველობის“ პრინციპი უკან იხევს და წინ მოდის შედეგზე ორიენტირებულობის, სტაბილურობის, კანონის უზენაესობის, „კარგი მმართველობის“, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების (ნეგატიური თავისუფლების გაგებით) პრინციპები. თავად ამ პრინციპების

არსი არ არის პირდაპირ კავშირში დემოკრატიასთან (დემოკრატიული წესით, მეთოდით გადაწყვეტილების მიღებასთან). მეტიც, ეს პრინციპები თავად მოითხოვენ დემოკრატიის გარკვეულ (მნიშვნელოვან) შეზღუდვებს კომპეტენციის, სპეციფიკური (ტექნიკური) ცოდნის საჭიროების გამო. შესაბამისი რესურსული უთანასწორობის არსებობის პირობებში აკნინებენ და ამცირებენ მასობრივ მონაწილეობის პრინციპს და ამის გამო ნოყიერ ნიადაგს ქმნიან ინდიფერენტიზმისა და არაპოლიტიკური განწყობებისთვის. აშკარაა, რომ ამგვარი ვითარება ასუსტებს დემოკრატიულ ლეგიტიმაციას, ხოლო ხშირ შემთხვევაში საფრთხეს უქმნის თავად დემოკრატიულ წესრიგს.

დემოკრატიული წესრიგის შესანარჩუნებლად (ან დასამკვიდრებლად) აუცილებელია დემოკრატიის არსებითი პრინციპების სიღრმისეული გააზრება და მათი ტრანსფორმირება (არსის შენარჩუნების პირობით) თანამედროვე , შეცვლილი გარემოებებისა და გამოწვევების შესაბამისად და არა არსებითი (მთავარი), ფუნდამენტური პრინციპების უგულებელყოფა (იგნორირება) და დემოკრატიის სახელით სხვა (მხოლოდ ლიბერალური, ან პოპულისტური) პრინციპების დამკვიდრება და დაცვა, როგორც პოლიტიკური გადაწყვეტილებების, ასევე საზოგადოებრივი აზრის (იდეოლოგიის) ფორმირების სფეროებში.

ტრადიციულ დემოკრატიებში ადამიანთა ჯგუფები (დემოსის ნაწილები) და ცალკეული ინდივიდები მიისწრაფოდნენ ძალაუფლებისკენ იმისთვის, რომ ძალაუფლების მეშვეობით მიეღწიათ თავისი მიზნებისთვის — ისინი მოქმედებდნენ მიზანსწრაფულად. მაგალითად: წოდებრიობის გაუქმებისთვის, ქალთა უფლებებისთვის, რომ ამგვარი ტიპის ცვლილებები უნდა განხორციელებულიყო და განხორციელებადი იყო არსებული წესრიგის (სინამდვილის) ფარგლებში, წესრიგის ფუნდამენტური შეცვლის გარეშე (თუნდაც ეს ცვლილებები ყოფილიყო ძალიან არსებითი).

სინამდვილის შესახებ მათ ჰქონდათ ცოდნა, რომელიც ეყრდნობოდა პრაქტიკულ, ცხოვრებისეულ ემპირიულ გამოცდილებას .

განსხვავებული შემთხვევა არის რელიგიის გავრცელება, რაც ეყრდნობა არა გამოცდილებას, არამედ რწმენას. თუმცა, რელიგიური რწმენის განმტკიცებას და საზოგადოების კონსოლიდირებას რელიგიური შეხედულებების საყოველთაოდ გაზიარების გზაზე ხელს უწყობდა პოლიტიკური და რეპრესიული ინსტრუმენტების გამოყენებაც (ეკლესია, სახელმწიფო, კანონები, აღმასრულებელი, სამართლებრივი და ძალოვანი ინსტიტუტები).

მყისიერი რადიკალური ცვლილება არსებული წესრიგისა იშვიათ შემთხვევებში გვხვდება ისტორიაში ან გარე დაპყრობის, ან რადიკალური რევოლუციის (მაგ. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია რუსეთში) ფორმით: ასეთ შემთხვევებში ძალაუფლების ყველა სფეროს ინსტიტუტების აქტიურ ჩართულობას აქვს ადგილი[7].

ამგვარ რადიკალურ შემთხვევასთან მნიშვნელოვანი მსგავსება შეიძლება დავინახოთ საბჭოთა კავშირის დანგრევის შემთხვევაშიც. ამ შემთხვევაში ხდება ცვლილება არა სისტემის (არსებული წესრიგის) ფარგლებში, არამედ სრულად(რადიკალურად) იცვლება არსებული წესრიგი. ადამიანები და ჯგუფები მოქმედებენ მიზანსწრაფულად არა ემპირიული, ცხოვრებისული გამოცდილების საფუძველზე არსებული წესრიგის ფარგლებში, არამედ ახალი, ემპირიულად უცნობი იდეოლოგიური შეხეულებების მიხედვით ცდილობენ შექმნან ახალი წესრიგი, თანაცხოვრების წესები, შეიმუშავონ ახალი სოციალური კონტრაქტი ძველის სრული უარყოფის პირობებში. პოლიტიკის სფეროში დემოკრატიის წესების დამკვიდრება ხდება დემოკრატიაში სრული გამოუცდელობის პირობებში. დემოკრატიის იდეის გააზრება და მისი დამკვიდრების მცდელობა რადიკალურად განსხვავდება იმ გზისგან, რაც დემოკრატიამ გაიარა ევროპის ქვეყნებში და ერთგვარად ემსგავსება რელიგიური იდეების აღქმასა და აღიარებას.

[7] პოლიტიკური, იდეოლოგიური, ეკონომიკური, ძალისმიერი — რეპრესიული ძალაუფლების ტიპების შესახებ იხ.: Mann, 1986, pp.1-34 .

პოსტსაბჭოთა სივრცეში წარმართული პროცესი ერთი მახასიათებლით მნიშვნელოვნად (არსებითად) განსხვავდება რუსეთის სოციალისტური რევოლუციის დროს არსებული ვითარებისგან, როდესაც სინამდვილის ტრანსფორმირება და ახალი წესრიგის შექმნა ხდებოდა მანამდე რეალურ ცხოვრებაში არ არსებული მოდელის მიხედვით, რომელიც მხოლოდ თეორიულად, მოძღვრების სახით არსებობდა. თუმცა, ცხადია, პრაქტიკა (რეალური ცხოვრება) გარკვეულად ამ მოძღვრების კორექტირებას ახდენდა, ლეგიტიმაციის მთავარ საყრდენს მოძღვრება წარმოადგენდა (ამ თვალსაზრისით ეს შემთხვევა რელიგიის აღიარებასთან ამჟღავნებს მსგავსებას).

პოსტსაბჭოთა პროცესის შემთხვევაშიც არა ემპირიული, თეორიული ცოდნა ხდება ლეგიტიმაციის მთავარი საყრდენი, მაგრამ ამავდროულად, ემპირიული გამოუცდელობის პირობებში, მიიჩნევა, რომ ეს თეორია (მოძღვრება) პრაქტიკულად რეალიზებულია ე. წ. „დასავლეთში“ (საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიის განვითარებულ ქვეყნებში). „მიმესისი“, „მიბაძვა“ ხდება მთავარი მოტივატორი მოქმედებისა. მაგრამ ამგვარი „მიბაძვა“ სრულიად არ ითვალისწინებს არც ალგორითმს, არც დინამიკას და არც მრავალფაქტორულობასა და კომპლექსურობას „დასავლური დემოკრატიების“ განვითარებისა. მეტიც, დასავლეთიდან პროპაგანდირებული ეკონომიკური და იდეოლოგიური შეხედულებები, სრულად იგნორირებას ახდენენ თავად დასავლურ საზოგადოებებში მყარად დამკვიდრებული ფუძემდებლური ინსტიტუტებისა, როგორიცაა სახელმწიფოს მაორგანიზებელი როლი და ფართო და აქტიური ჩართულობა განვითარებაში (ეკონომიკა, ტექნოლოგია, ინოვაციები, მეცნიერება), კეთილდღეობის ინსტიტუტები (ჯანდაცვა, განათლება, სოციალური უზრუნველყოფა) და ამგვარი პოლიტიკის უზრუნველმყოფი ინსტრუმენტები: „დიდი ბიუჯეტი“ და მაღალი პროგრესული გადასახადები.

ანუ თეორია, მოძღვრება „დასავლეთის საზოგადოებების“ შესახებ, რომელიც ვრცელდება პოსტსაბჭოთა სივრცეში, სინამდვილეში არ შეესაბამება (არსებითად)

დასავლეთის საზოგადოებებში რეალურად არსებულ წესრიგსა და ვითარებას. ამდენად ადგილი აქვს არა რეალურად მიბაძვას, არამედ შერჩევითად „მისაბაძი მაგალითების“ (ეპიზოდური და არარსებითი) მოხმობას ლეგიტიმაციისთვის. ამავე დროს, ასეთი მაგალითების შერჩევისას უმთავრეს როლს თამაშობს ცალკეული ვიწრო ჯგუფებისა და სუბიექტების კერძო ინტერესები.

გლობალიზაციის ლიბერალური ვერსიის მთავარი ეკონომიკური აგენტებიც (საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია) მყარ საფუძველს ქმნიდნენ რეალურად „დასავლური საზოგადოებების“ გამრუდებული სახით წარმოჩენისთვის. აღმოსავლეთ ევროპაში პოპულარული ხდება გამონათქვამი, რომელიც „დასავლეთის“ დამოკიდებულებას აღწერს პოსტსოციალისტური „მიმესისის“ მიმართ: „Do as we say, and not as we do!“(„გააკეთეთ როგორც ჩვენ გეუბნებით,და არა როგორც ჩვენ ვაკეთებთ!“).

პოსტსაბჭოთა სივრცე ხდება ასპარეზი ახალი (განსხვავებული) ტიპის „დემოკრატიის“ ფორმირებისა და დამკვიდრებისა. არსებული „დემოკრატიული“ წესრიგისა და „ დემოკრატიზაციის“ გააზრება მოითხოვს ახლებურ, ახალ კონცეპტუალურ მიდგომებს. რამდენად კონსოლიდირებული გახდება დღეისათვის არსებული წესრიგები ნათელი არ არის. აშკარაა მხოლოდ ის, რომ ჩვენ ამ სივრცეში საქმე გვაქვს ახალი ტიპის „რეალურ დემოკრატიასთან“, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ტრადიციული „დასავლური დემოკრატიისგან“ არსობრივი მახასიათებლებითაც და განვითარების გზებითაც. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, შეცდომებისა და დაბნეულობის თავიდან ასაცილებლად, შესაძლოა, მიზანშეწონილი იყოს ტერმინოლოგიურადაც აისახოს ეს განსხვავებები, მაგ.: „ახალი (პოსტსაბჭოთა) ტიპის დემოკრატია (დემოკრატიზაცია)“ , ტრადიციული „დასავლური დემოკრატიისგან“ განსხვავებით.

ბიბლიოგრაფია

ჟორჟოლიანი, გია, დუდუჩავა გუგა. (2021) (უ)თანასწორობა – იგნორირებული პრობლემა. კრებულში: (უ)თანასწორობა საქართველოში, თბილისი, საზოგადოების კვლევის ცენტრი, გვ.9–69.

Achen, Christopher H., Larry M. Bartels. (2017). Democracy for Realists: Why Elections Do Not Produce Responsive Government. Prienston University Press.

Allen, Danielle. (2021). Time for New Philosophical Foundations for Economic Theory? In: O. Blanchard and D. Rodrik (eds.), Combating Inequality. Rethinking Government's Role. Massachusetts Institute of Technology and Peterson Institute for International Economics.

Dahl, Robert A. (1971). Polyarchy: participation and opposition. New Haven: Yale University Press.

Dalton, Russell J. (2017). The participation gap: social status and political inequality. Oxford University Press.

Keane, John. (2013). Democracy and Media Decadence. Cambridge: Cambridge University Press.

Mair, Peter. (2013). Ruling the Void: The Hollowing of Western Democracy. Verso Books.

Mann, Michael. (1986). The Sources of Social Power: Volume 1, A History of Power from the Beginning to AD 1760, Cambridge University Press.

Offe, Claus. (2011). Crisis and Innovation of Liberal Democracy: Can Deliberation Be Institutionalised? Sociologický Časopis / Czech Sociological Review. Vol. 47, No. 3, pp. 447-472 (26 pages). Published By: Institute of Sociology of the Czech Academy of Sciences

Olson, Mancur. (1971). The Logic of Collective Action: Public Goods and the Theory of Groups. Harvard University Press.

Piketty, Thomas. (2020). Capital and Ideology. Harvard College.

Popper, Karl. (2011). The Open Society and Its Enemies. Routledge, Routledge classics

Rosanvallon, Pierre. (2008). Counter-Democracy. Politics in an Age of Distrust. Cambridge: Cambridge University Press

Schumpeter, Joseph A. (2008). Capitalism, Socialism and Democracy: Harper Perennial Modern Thought

Weber, Max. (1958). Politics as a Vocation. In: H. H. Gerth and C. Wright Mills (eds.), From Max Weber: Essays in Sociology, New York, Oxford University Press, pp.77-128.

Zakaria, Fareed. (1997). The Rise of Illiberal Democracy. Foreign Affairs, N 76 (November–December): 22–43.

Юдин, Григорий. (2021). Россия как плебисцитарная демократия. Russian Sociological Review, v.20, n. 2, pp.9-47.